



IFLA (იფლა) – საბიბლიოთეკო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია

სახელმძღვანელო მითითებანი აუდიოვიზუალური და მულტიმედიური მასალების შესახებ ბიბლიოთეკებსა და სხვა ორგანიზაციებში

ბრიუს როიანი, მონიკა კრამერი და სხვ.

IFLA-ს აუდიოვიზუალური და მულტიმედიური განყოფილების სექცია.

თარგმნა ია გორგიშელმა

თბილისი

2023

სახელმძღვანელო მითითებანი აუდიოვიზუალური და მულტიმედიური მასალების შესახებ ბიბლიოთეკებსა და სხვა ორგანიზაციებში / ბრიუს როიანი, მონიკა კრემერი და სხვები; IFLA აუდიოვიზუალური და მულტიმედიური განყოფილება; თარგმნა ია გორგიშელმა. თბილისი, 2023. - 23გვ.

ISBN 978-9941-8-5139-1 (PDF)

Guidelines for Audiovisual and Multimedia materials in libraries and other institutions / Bruce Royan, Monika Cremer et al for the IFLA Audiovisual and Multimedia Section. The Hague, IFLA Headquarters, 2004. – 21p. 30 cm. – (IFLA Professional Reports : 80)

ISBN 90-70916-959

ISSN 0168-1931

სარჩევი

1. შესავალი	4
2. ზოგადი დებულებები	6
3. სახელმძღვანელოს დანიშნულება	7
4. ორგანიზაცია და ადმინისტრირება:	8
• ადამიანური რესურსები	
• განათლება და ტრენინგი	
• ბიუჯეტი	
5. შესყიდვა და სავალდებულო ეგზემპლარი	10
6. საავტორო უფლება და საავტორო უფლების შეთანხმება	11
7. კატალოგიზაცია და ბიბლიოგრაფიულ მასალებთან წვდომა	12
8. არქივების შექმნა და შენახვა	14
9. დიგიტალიზაცია და დაცვა	15
10. ინტერნეტი	17
11. მომხმარებელთა მომსახურება	18
12. თანამშრომლობა	19
13. საცნობარო ბმულები	20
14. აუდიოვიზუალური მატარებლების ჩამონათვალი	21

1. შესავალი

აუდიოვიზუალური და მულტიმედიური მასალების სახელმძღვანელო მითითებანი ბიბლიოთეკებისა და მსგავსი პროფილის სხვა დაწესებულებებისთვის რამდენიმეწლიანი ერთობლივი ძალისხმევისა და კონსულტაციების შედეგად შეიქმნა.

1972 წლის დასაწყისში გამოქვეყნებულმა საჯარო ბიბლიოთეკების შესახებ იუნესკოს მანიფესტმა ხაზი გაუსვა აუდიოვიზუალური მედიის საჭიროებას საჯარო ბიბლიოთეკებში, როგორც მოზრდილთა, ასევე ბავშვთა მომსახურებაში. მომდევნო წელს, IFLA-მ აუდიოვიზუალური მასალებისთვის სპეციალური „მრგვალი მაგიდა“ შექმნა, რათა განეხილათ ყველა ტიპის არატრადიციული, „არაბეჭდური“ სახის დოკუმენტი, სხვა განმარტებით, ემსჯელათ იმ დოკუმენტებზე, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ აღჭურვილობებს მათ მოსასმენად თუ სანახავად.

1982 წელს „მრგვალ მაგიდასთან“ განხილულ იქნა საჯარო ბიბლიოთეკებში აუდიოვიზუალური მასალებისა და წამკითხველი მოწყობილობების გამოყენების შესახებ სტანდარტების მომზადება, რის შედეგადაც ამ საკითხებზე IFLA-ს სახელმძღვანელოს პირველი გამოცემა შეიქმნა. მეორე, შესწორებული გამოცემა 1987 წლისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ არ გამოქვეყნებულა.

ბიბლიოთეკებში ახალი სერვისების გაჩენამ, ისეთების როგორიცაა, მულტიმედიური დოკუმენტებით მომსახურება (CD-I და CD-ROM), ასევე ონლაინმულტიმედიური სერვისები, აუდიოვიზუალური დოკუმენტების ევოლუციით იყო გამოწვეული, რომლებიც ელექტრონულ ფორმატში მომზადებულ რამდენიმე სხვადასხვა ტიპის მედიას წარმოადგენენ. ამან განაპირობა 1996 წელს სახელწოდების „მრგვალი მაგიდა“ „აუდიოვიზუალური და მულტიმედიური მასალების (AVM) მრგვალი მაგიდით“ შეცვლა. 1999 წელს „AVM-ის მრგვალი მაგიდა“ აუდიოვიზუალური და მულტიმედიური მასალების ცალკე სექციად გადაკეთდა.

ბიბლიოთეკებში ჩატარებულმა ტექნიკურმა რევოლუციამ აშკარად აჩვენა, რომ საჭიროა არა მხოლოდ ორგანიზაციის სახელის შეცვლა, არამედ IFLA-ს შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებების გადასინჯვა. 1997 წელს, „AVM მრგვალი მაგიდის სექციის“ სხდომაზე, მცირე პროექტი იქნა შემოთავაზებული მოძველებული ტექსტებისა და სპეციალური მასალების რედაქტირების მიზნით, საჯარო ბიბლიოთეკებში აუდიოვიზუალური და მულტიმედიური სერვისების სახელმძღვანელოს შესაქმნელად. ერთწლიანმა პროექტმა დაასკვნა, რომ ახალი სახელმძღვანელო მითითებების შექმნა ერთი ადამიანისთვის (1) ძალიან მძიმე ამოცანაა, მაგრამ ეს კარგი საფუძველი იყო შემდგომი მუშაობისთვის. 1999 წელს, IFLA-ს VI სექციის საკოორდინაციო საბჭომ დაამტკიცა შემდეგი პროექტის წამოწყება, რომელიც დაევალა AVM სექციის წევრთა ჯგუფს (2), რომ ყველა ტიპის ბიბლიოთეკისთვის, ასევე

1. Bibbi Andersson (შვეცია)

2. Monika Cremer (გერმანია), Pierre-Yves Duchemin (საფრანგეთი), Joelle Garcia (საფრანგეთი), Marty Kesselmann (აშშ)

მსგავსი პროფილის სხვა ინსტიტუტებისთვის მოემზადებინა სახელმძღვანელოების სერია აუდიოვიზუალური და მულტიმედიური მასალებისთვის.

ამ პროექტის მასშტაბი გაფართოვდა და საჯარო ბიბლიოთეკების საზღვრებს გასცდა, რადგან საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა დაარღვია ბიბლიოთეკების ტრადიციული დაყოფა საჯარო, აკადემიურ, ეროვნულ და სპეციალურ ბიბლიოთეკებად იმ საკითხში, რაც შეეხება მედიის დამუშავებას და ხელმისაწვდომობას. მიუხედავად ამისა, 2000 წელს IFLA-ს კონფერენციაზე სამუშაო ჯგუფის მუშაობაზე გავლენა მოახდინა საჯარო ბიბლიოთეკებისთვის IFLA-ს განახლებული სახელმძღვანელოს პროექტის განხილვამ, რომლის ზოგიერთი ნაწილი ეხება აუდიოვიზუალურ და მულტიმედიურ მასალებს: „ინფორმაციულად წიგნიერსა და ინფორმაციულად ღარიბს შორის უფსკრულის აღმოსაფხვრელად აუცილებელია შესაბამის მოწყობილობებზე წვდომის უზრუნველყოფა, როგორებიცაა საინფორმაციო ტექნოლოგიები, მიკროფორმების წამკითხველები, მაგნიტოფონები, სლაიდპროექტორები და აღჭურვილობა მხედველობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის“.

წინამდებარე სახელმძღვანელოს პირველი პროექტი წარმოდგენილი იყო 2001 წელს ბოსტონში გამართულ IFLA-ს კონფერენციის სამუშაო შეხვედრაზე, რის შედეგადაც სამუშაო ჯგუფმა მიიღო რამდენიმე გაუმჯობესებული შემოთავაზება. შემდეგი სამუშაო შეხვედრა გლაზგოში IFLA-ს 2002 წლის კონფერენციაზე უნდა გამართულიყო, მაგრამ კონფერენციის პროგრამის გადატვირთულობის გამო გადაიდო. ამიტომ ნაშრომის მასალები გამოქვეყნდა IFLANET-ის ვებგვერდზე, ასევე ფართოდ გავრცელდა IFLA-სა და სხვა პროფესიულ შეხვედრებზე განსახილველად.

2003 წლის ივლისში, სახელმძღვანელოს სამუშაო ვერსიის მეორე პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა დღემდე მიღებულ შენიშვნებს, გამოქვეყნდა AVMS-ის საინფორმაციო ბიულეტენში. ეს გამოცემა საფუძვლად დაედო სახელმძღვანელოს არსებულ ვერსიას, რომელიც მომზადდა 2003 წლის 7 აგვისტოს ბერლინში გამართული სამუშაო შეხვედრის მონაწილეთა (3) მიერ, IFLA-ს კონფერენციის ფარგლებში.

3. Bruce Royan (დიდი ბრიტანეთი), Monika Cremer (გერმანია), Livia Borghetti (იტალია), Kirsten Rydland (ნორვეგია), James Turner (კანადა), Gregory Miura (საფრანგეთი)

2. ზოგადი დებულებები

საინფორმაციო რესურსების მუდმივად მზარდ რაოდენობას, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო და სარეკრეაციო ინტერესებს, ასევე საინფორმაციო საჭიროებებს, თან ახლავს აუდიოვიზუალური და ელექტრონული ფორმატების ფართო სპექტრი. ეს მასალები ისეთივე ღია და თავისუფლად ხელმისაწვდომი უნდა იყოს, როგორც ბეჭდური მასალები. აუდიოვიზუალური მასალები ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია და შეიცავს უამრავ ინფორმაციას, რომელიც მომავალი გამოყენებისთვის უნდა იყოს შენახული. საზოგადოებაში ინფორმაციის გადაცემის ფორმების მრავალფეროვნება უნდა აისახოს ბიბლიოთეკის მიერ მომხმარებლებისთვის შეთავაზებულ სერვისებში.

ბიბლიოთეკარები, როგორც ინფორმაციის მიმწოდებლები, დაინტერესებულნი უნდა იყვნენ ინფორმაციის იმ ფორმატებში მიწოდებით, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება სხვადასხვა ტიპის მომხმარებლის განსხვავებულ საჭიროებებს, რომელთაგან თითოეული მკაფიოდ უნდა იყოს დიფერენცირებული.

ბიბლიოთეკა არსებობს იმისთვის, რომ მოემსახუროს საზოგადოებას და, შესაბამისად, უნდა დაკმაყოფილდეს ამ საზოგადოების ყველა წევრის: მოხუცების და ახალგაზრდების, ქმედუნარიანების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ნიჭიერების და ინტელექტუალურად შეზღუდულთა მოთხოვნები.

აუდიოვიზუალური მასალები შეიძლება განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდეს საზოგადოების იმ ნაწილისთვის, ვისთვისაც ტრადიციული ბეჭდური მასალები ნაკლებ ინტერესს იწვევს, მაგალითად, მათთვის, ვისაც არ სურს ბეჭდური ტექსტების კითხვა, ასევე უსინათლოებისთვის, მხედველობა დაქვეითებულთათვის და სხვა ფიზიკურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

განვითარებად ქვეყნებში აუდიოვიზუალური მასალების და მათთან დაკავშირებული აღჭურვილობის მიწოდება შეიძლება ჩაითვალოს უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე ბეჭდური პროდუქცია, რადგან წიგნიერების დონე ისეთია, რომ საკომუნიკაციოდ ამჯობინებენ ინფორმაციის გაცვლას ხმის ან გამოსახულების საშუალებით.

ამავდროულად, ინტერნეტის მზარდ შესაძლებლობებთან ერთად, მოთხოვნა უფრო ტრადიციულ, არაელექტრონულ, აუდიოვიზუალურ მატარებლებზე, უძრავ სურათებზე, ფილმებსა და ხმოვან მასალებზე კვალავ არსებობს.

კომპიუტერისა და მულტიმედიის საშუალებით ინფორმაციის გადაცემამ გამოიწვია ბიბლიოთეკებში უზარმაზარი აუდიოვიზუალური მასალის დაგროვება. ბიბლიოთეკის თითქმის ყველა მომხმარებელი ან სტუმარი არის აუდიოვიზუალური და მულტიმედიური მასალების ისეთივე პოტენციური მომხმარებელი, როგორც ბეჭდური მასალის.

ბიბლიოთეკის მომხმარებლებს ინტერნეტთან წვდომა უნდა ჰქონდეს უფასო, ინტერნეტთან დაშვების ყველა მითითებულ წერტილზე. ბიბლიოთეკა მოქმედებს როგორც ინფორმაციის ნავიგატორი იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ეძებენ ახალ მედიაზე წვდომას, რაც უზრუნველყოფს მათთვის სანდო ინფორმაციის მიღებას.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა განიხილებოდეს აუდიოვიზუალური მასალები, როგორც ტრადიციული გამოცემების გვერდით დამატებითი ფუფუნება, არამედ ისინი უნდა ჩაითვალოს აუცილებელ კომპონენტებად, სრულად ინტეგრირებულად საბიბლიოთეკო მომსახურებაში.

ბიბლიოთეკები ჰიბრიდულ სიტუაციაში არიან, რადგან საქმე აქვთ ყველა სახის მასალასთან: ბეჭდურ, აუდიოვიზუალურ, ელექტრონულ (მათ შორის ინტერნეტ) და მულტიმედიურ მასალებთან. ბიბლიოთეკებმა უნდა აღიარონ აუდიოვიზუალური და მულტიმედია ფორმატები, როგორც პოტენციური საინფორმაციო რესურსები და შეიტანონ ისინი თავის კოლექციებში. ბიბლიოთეკის მიერ შეძენილი აუდიოვიზუალური და მულტიმედიური მასალის სახეობები უნდა განისაზღვროს ისე, როგორც ბეჭდური მასალების შემთხვევაში, მომხმარებელთა საჭიროების, ბიბლიოთეკის საქმიანობის მასშტაბის და კონკრეტული პასუხისმგებლობების მიხედვით. მაგალითად, ფორმალური განათლების სფეროში, როგორცაა სკოლებისთვის საბიბლიოთეკო მომსახურების მიწოდება.

3. სახელმძღვანელოს დანიშნულება

ამ დოკუმენტში ტერმინი „აუდიოვიზუალური მასალები და მულტიმედია“ ეხება ბიბლიოთეკების და ნებისმიერი მიმართულების საინფორმაციო სამსახურების ფონდებში არსებულ ხმოვან, გრაფიკულ და მულტიმედიურ მასალებს. (4)

განიხილება ყველა საკითხი ხმოვან ფაილებთან, სტატიკურ და დინამიურ გამოსახულებებთან, მულტიმედიურ დოკუმენტებთან, ასევე სპეციალიზებულ სერვისებთან (მაგალითად, საბავშვო ბიბლიოთეკებსა და ენის შემსწავლელ ცენტრებში) დაკავშირებით. ასევე განიხილება კოლექციების შევსების, კატალოგიზაციის, შენახვისა და მასალების ხელმისაწვდომობის საკითხები, მათ შორის ინტერნეტის საშუალებით.

4. მიკროფორმები წინამდებარე სახელმძღვანელოში არ განიხილება.

განმარტებები

აუდიოვიზუალური - ეხება გამოსახულებას და/ან ხმას.

აუდიოვიზუალური მასალები - მასალები, რომლებიც შეიცავენ ნებისმიერ ჩაწერილ ხმას და/ან მოძრავ და/ან უძრავ გამოსახულებას.

მულტიმედია

შეიცავს ორ ან მეტ აუდიოვიზუალურ ფორმატს. მაგალითად, ხმა და გამოსახულება, ტექსტი და ანიმაციური გრაფიკა.

ინტერაქტიული მულტიმედია

მულტიმედიური მასალები, რომელთა ნახვის თანმიმდევრობა ან/და წარდგენის ფორმა კონტროლდება მომხმარებლის მიერ.

მატარებლები

სხვადასხვა ტიპის მატარებლებზე შეიძლება არსებობდეს ხმოვანი ჩანაწერები, უძრავი ან მოძრავი გამოსახულებები და მულტიმედიური მასალები ანალოგური და ციფრული ფორმით. ეს სახელმძღვანელო მე-14 თავში ამ მატარებლების ჩამონათვალს შეიცავს.

4. ორგანიზაცია და ადმინისტრირება

პერსონალი

აუდიოვიზუალური და მულტიმედიური რესურსების მართვა მოითხოვს არა მხოლოდ შესაბამის აღჭურვილობაზე ხელმისაწვდომობას, არამედ მცოდნე სპეციალისტებს.

ყველა ბიბლიოთეკარმა უნდა იცოდეს აუდიოვიზუალური და მულტიმედიური მასალების შესაძლებლობები და ამ ტიპის მასალებსა და მათთან დაკავშირებულ მოწყობილობაზე ხელმისაწვდომობა უნდა მიაჩნდეს ბიბლიოთეკის მომსახურების ჩვეულებრივ ფორმად.

თანამშრომლების მოვალეობები და ფუნქციები აუდიოვიზუალურ და მულტიმედია რესურსებთან დაკავშირებით მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული ორგანიზაციულ დონეზე ბიბლიოთეკაში.

დიდ ბიბლიოთეკებში, ცხადია, საჭიროა სპეციალურად მომზადებული ბიბლიოთეკარები, იმ მომხმარებლების მომსახურებისთვის, რომლებიც მიდიან აუდიოვიზუალური და მულტიმედიური მასალებით დაკომპლექტებულ განყოფილებებში. მაგრამ მცირე ბიბლიოთეკებშიც კი, აუდიოვიზუალური და მულტიმედიური მასალებით მომსახურების მიწოდების კოორდინაციასა და დაგეგმვაში ჩართული უნდა იყოს ერთი ან მეტი თანამშრომელი.

შეძლებისდაგვარად, ბიბლიოთეკარებს უნდა დაეხმაროს სამტატო ერთეულიდან ან სხვა ორგანიზაციიდან მოწვეული ტექნიკური პერსონალი. ახალი ტექნოლოგიების გამოყენების დროს, მომსახურების კონცეფციის შემუშავებისას ბიბლიოთეკარებს შეიძლება ტექნიკური ექსპერტების დახმარება დასჭირდეთ. ასევე აუცილებელია აუდიოვიზუალური პროდუქციის ბაზარზე არსებული ვითარების ცოდნა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხვა მედიაბიბლიოთეკებთან ქსელურ თანამშრომლობას.

სასურველია, აუდიოვიზუალური და მულტიმედიური მასალების შერჩევისა და სერვისების მიწოდების საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში თითოეულ ქვეყანაში იყოს ერთი ლიდერი დაწესებულება.

განათლება და ტრენინგი

საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რომლებიც ამზადებენ ბიბლიოთეკარებს და ინფორმაციის სპეციალისტებს, უნდა მისცენ სტუდენტებს სრულყოფილი ინფორმაცია ბიბლიოთეკებში აუდიოვიზუალური და მულტიმედიური მასალების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. ამ სფეროში სპეციალიზაციის მსურველი სტუდენტებისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს დამატებითი ფაკულტატური კურსები.

სასწავლო გეგმებში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული იმ ბიბლიოთეკარებისა და სხვა სპეციალისტების გამოცდილება, რომლებიც უკვე მუშაობენ ამგვარ მასალებთან. ამ სფეროში ტრენინგი და ამ დარგის სპეციალისტების მომზადება შედგება სამი ერთმანეთის შემავსებელი და განუყოფელი განზომილებისაგან: ინტელექტუალური საქმიანობა, იურიდიული საკითხები და სპეციალიზებული ცოდნა.

ზოგიერთ ქვეყანას აქვს სასწავლო პროგრამები ბიბლიოთეკარებისთვის, რომელთაც სურთ იმუშაონ სპეციალურად აუდიოვიზუალურ და მულტიმედია მასალებზე ბიბლიოთეკაში. მაგალითად, ავსტრალიაში, ახალი სამხრეთ უელსის უნივერსიტეტი, საინფორმაციო სისტემების, ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის სკოლა, გთავაზობთ განათლებას აუდიოვიზუალური მენეჯმენტის სპეციალობაში, ხოლო აშშ-ში, ლოს ანჯელესის კალიფორნიის უნივერსიტეტი გთავაზობთ მაგისტრატურას მოძრავი გამოსახულების საარქივო საქმის შესწავლაში. ზოგიერთი ქვეყანა ამზადებს ბიბლიოთეკარებს მუსიკის სფეროში და ასწავლის საბიბლიოთეკო საქმეს ხელოვნების სფეროში. ბიბლიოთეკარებისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლება ფართოდ არის გავრცელებული, თუმცა უფრო მეტად არის ორიენტირებული კომპიუტერთან მუშაობის სწავლაზე, ვიდრე ტრადიციულ აუდიოვიზუალურ მასალებთან მუშაობაზე.

როგორც ტრადიციულ წიგნებთან მუშაობისას არის ბიბლიოთეკარისთვის მნიშვნელოვანი ლიტერატურის ცოდნა, ისე აუდიოვიზუალურ მასალასთან მუშაობისას არის მნიშვნელოვანი ფილმების, ხელოვნების, მუსიკის სფეროში გათვინობიერება.

აუდიოვიზუალური მასალების დარგის პროფესიონალებისთვის უწყვეტი განათლება და ტრენინგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ტექნოლოგია და პროდუქტები ამ სფეროში ძალიან სწრაფად იცვლება. ეს უნდა იყოს გათვალისწინებული პროფესიული

ასოციაციების, საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მეცნიერებების სკოლებისა და სხვა მონათესავე ორგანიზაციების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში. ასეთი პროგრამების ორგანიზება შეიძლება საერთაშორისო, ეროვნულ, რეგიონალურ ან ადგილობრივ დონეზე.

ბიუჯეტი

აუცილებელია ფინანსური მხარდაჭერა კოლექციების განვითარებისთვის, აღჭურვილობის შესყიდვის, რეგულარული მოვლის, შენახვის, ტექნიკის შეკეთებისა და გამოცვლისათვის. ეს ხარჯები უნდა განისაზღვროს საბიბლიოთეკო ფონდის მოცულობის შესაბამისად, პროცენტულად ფონდის დაკომპლექტების და აღჭურვილობისთვის განკუთვნილი ბიბლიოთეკის მთლიანი ბიუჯეტიდან.

ბიუჯეტის გადასინჯვა ყოველწლიურად უნდა განხორციელდეს, ახალი ტექნოლოგიების ცვლილების სწრაფი ტემპის გამო (ამორტიზაციის პერიოდი 5 წელი ძალიან დიდია ამ სფეროში).

5. შესყიდვა და სავალდებულო ეგზემპლარი

ყველა ბიბლიოთეკარმა, ბიბლიოთეკაში მათი პასუხისმგებლობის სფეროს მიუხედავად, უნდა იცოდეს აუდიოვიზუალური და მულტიმედიაური ფორმატების, როგორც ინფორმაციის მატარებლების შესაძლებლობები და უნდა მოახდინოს მათი ჩართვა კოლექციების განვითარების საკითხებში.

ბიბლიოთეკის კოლექციების ფორმირება და განვითარების პოლიტიკა აუცილებლად უნდა მოიცავდეს რესურსებს არატრადიციულ მედიაზე. აუცილებელია ამ რესურსების პრიორიტეტებისა და შერჩევის კრიტერიუმების დადგენა. ეს კრიტერიუმები შეიძლება განსხვავდებოდეს კონკრეტული ფორმატის მიხედვით და შეიძლება გახდეს კოლექციის განვითარების საფუძველი.

ბეჭდური მასალების შეძენის ტიპური არხები შეიძლება ყოველთვის არ ემთხვეოდეს არატრადიციულ მედიაზე არსებული დოკუმენტების შეძენის არხებს. საქმიანობისთვის აუცილებელია იურიდიული და ამ დარგის ბაზრის სპეციალისტების ჩართვა, ამ ბაზარსა და წიგნის პროდუქციის ბაზარს შორის არსებული განსხვავებების გათვალისწინებით. ანალოგიურად, საჭიროა სპეციალისტების ჩართვა აუდიოვიზუალური და ელექტრონული რესურსებისთვის შესაბამისი აპარატურის შერჩევასა და შეძენაში.

ასეთი რესურსების სადისტრიბუციო ქსელები - რეგიონალურ, ეროვნული და საერთაშორისო - მრავალფეროვანია და ზოგჯერ ცუდად ორგანიზებული. ამ სფეროში მომუშავე ბიბლიოთეკებმა უნდა ითანამშრომლონ, რათა თითოეული ტიპის მასალისთვის სანდო დისტრიბუტორების სია შეარჩიონ.

ბევრ დაწესებულებაში კარგი პრაქტიკაა ადგილობრივი მასალის საფუძველზე კოლექციების შექმნა (მათ შორის ფილმების, ვიდეოჩანაწერების, ხმოვანი და მუსიკალური ჩანაწერების ჩათვლით). ეს არის საუკეთესო გზა ასეთი მასალების შესანარჩუნებლად და

მათზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, საავტორო უფლებების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

აუდიოვიზუალური და მულტიმედიური დოკუმენტების, განსაკუთრებით იშვიათი და უძველესი მასალების კოლექციების შექმნის ერთ-ერთი გზა შემოწირულობაა. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინტელექტუალური საკუთრების და სხვა საკითხების შესახებ გაურკვევლობა ამ ვარიანტს ნაკლებად მარტივს ხდის, ვიდრე ბეჭდური მასალის შემოწირულობების სახით მიღებაა.

სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ კანონების მრავალფეროვნება და ამ კანონების პრაქტიკაში გამოყენება მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნებში; მასალები ან საერთოდ არ აქვთ, ან მთლიანად ყველა მასალა აქვთ, ზოგჯერ ონლაინვერსიების ჩათვლით.

ანალოგიურად, განსხვავდებიან სავალდებულო ეგზემპლარების შემგროვებელი და შემნახველი ორგანიზაციებიც, რომლებიც შეიძლება მოიცავდნენ ეროვნულ და რეგიონალურ ბიბლიოთეკებს, სპეციალიზებულ სააგენტოებს, აუდიოვიზუალურ და მულტიმედიურ არქივებს, უნივერსიტეტებს და სპეციალიზებულ ბიბლიოთეკებს. იქ, სადაც არის კანონი სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ, უნდა მოხდეს ამ კანონით შექმნილი სარგებლის გამოყენების ხელშეწყობა.

სავალდებულო ეგზემპლარის კანონის საფუძველზე შენახული მასალების გამოყენების და მათზე წვდომის უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

6. საავტორო უფლება და საავტორო უფლების შეთანხმება

ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის სფეროში, აუდიოვიზუალური მედიის შემთხვევაში, არსებობს კონკრეტული სამართლებრივი შეზღუდვები ხმოვან და მოძრავ გამოსახულებებთან მიმართებაში. ავტორის ან შემდგენლის საავტორო უფლებების გარდა, არსებობს პროდიუსერის და შემსრულებლის უფლებები, აგრეთვე ნაწარმოების გამოყენებისთვის ანაზღაურების მიღების უფლება, რომელიც საბიბლიოთეკო საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს. სამართლებრივი პოზიცია მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული კოლექციის ყველა ერთეულისათვის.

ამ სფეროში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საავტორო უფლების შეთანხმების საკითხებს. ასეთი შეთანხმებით დაწესებული სირთულეებისა და შეზღუდვების გამო, რეკომენდებულია თითოეული შენახვის ერთეულისთვის შედგეს და რეგულარულად განახლდეს უფლებების მდგომარეობის რეესტრი (register of the rights situation) - დოკუმენტი, რომელიც შენახვის ერთეულს სამართლებრივ ურთიერთობათა ობიექტად ახასიათებს.

ცალკეულ გამომცემლებთან ხელშეკრულებების დადების უკიდურესად რთული სამუშაოს თავიდან ასაცილებლად, ორგანიზაციები უნდა ცდილობდნენ წაახალისონ გამომცემლები, რათა მიიღონ საავტორო უფლებების შეთანხმების ტიპური მოდელი (როგორცაა,

მაგალითად, საბიბლიოთეკო და საინფორმაციო რესურსების საბჭოსა და ციფრული ბიბლიოთეკის ფონდი) (5).

ზოგჯერ შეიძლება მიზანშეწონილი იყოს ცალკეული კოლექციების შექმნა ისეთი შენახვის ერთეულებისგან, რომლებზეც გაფორმებული იქნება საავტორო უფლების ხელშეკრულებები, რაც მათი უფრო ინტენსიურად გამოყენების, მაგალითად, სახლში მოსმენის ან საჯაროდ შესრულების საშუალებას იძლევა. ზოგიერთ შემთხვევაში, ბიბლიოთეკები შეიძლება დაინტერესდნენ მასალებით, რომელთაც გამოყენების განსაზღვრული დრო აქვთ (გაქირავების წესების შესაბამისად).

კოპირებისა და რეპროდუცირების საკითხები, როგორც წესი, ცალკეული ბიბლიოთეკების კონტროლს არ ექვემდებარება. ბიბლიოთეკები უნდა დაეყრდნონ ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას და ისეთ ორგანიზაციებს, როგორებიცაა IFLA, IASA და EBLIDA, რომლებიც აწარმოებენ სახელმძღვანელოებს ამ საკითხებზე.

ამ თემებზე ინფორმაციის მისაღებად დაწესებულებები, პირველ რიგში, საკუთარ საბიბლიოთეკო ასოციაციას უნდა დაუკავშირდნენ.

7. კატალოგიზაცია და ბიბლიოგრაფიულ მასალებთან წვდომა

აუდიოვიზუალური და მულტიმედიური მასალები უნდა იყოს ქვეყნის ეროვნული ბიბლიოგრაფიის ბუნებრივი ნაწილი.

აუდიოვიზუალურ და მულტიმედიურ დოკუმენტებს აქვთ ისეთი მახასიათებლები, რომლებიც საჭიროებენ გარკვეულ უნარებს მათი ბიბლიოგრაფიული აღწერილობების შედგენისას. ამ სახეობის დოკუმენტების კატალოგიზაციის საერთაშორისო წესების დასადგენად ორგანიზაციებმა, როგორებიცაა IFLA, FIAF, IASA და სხვა, დიდი სამუშაო გასწიეს. თითოეულ ბიბლიოთეკაში კატალოგიზაციის წესები და ბიბლიოგრაფიული აღწერილობის პრაქტიკა უნდა ეფუძნებოდეს ცნობილი და აღიარებული სტანდარტების არჩევას და ამ მასალების ინდექსაციის რთულ სამუშაოში გამოყენებული უნდა იყოს თემატური საერთო წესები.

როგორც წესი, მომხმარებლისთვის მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდების მიზნით, აუდიოვიზუალური და მულტიმედიური დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერილობები შეტანილი უნდა იყოს ბიბლიოთეკის გენერალურ კატალოგში. ამავდროულად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს აუდიოვიზუალური და მულტიმედიური დოკუმენტების დამატებითი წვდომის წერტილები და მათი აღწერილობა უნდა მოიცავდეს ტექნიკურ ინფორმაციას და ინფორმაციას გამოყენების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში, უმჯობესია მომხმარებლებს მიეცეთ წვდომა აუდიოვიზუალური და მულტიმედიური დოკუმენტების ცალკეულ კატალოგზე.

5. <http://www.library.yale.edu/~llicense/modlic.shtml>

კატალოგიზაციის წესები

შეიძლება დაგვეხმაროს საერთაშორისო და ზოგიერთი ეროვნული კატალოგიზაციის წესების შემდეგი ჩამონათვალი:

Anglo-American Cataloguing Rules. Prepared under the direction of the Joint Steering Committee for Revision of AACR, a committee of the American Library Association ... [et al]. 2nd ed., 2002 revision. Ottawa: Canadian Library Association, 2002. (loose-leaf) (Co-published by the Chartered Institute of Library and Information Professionals and the American Library Association)

Association Française de Normalisation. *Normes de catalogage. Domaine 164 : Documentation*
http://planete.afnor.fr/v3/espace_normalisation/programmesnormalisation/22-164.htm

Association for Recorded Sound Collections. Associated Audio Archives. *Rules for Archival Cataloging of Sound Recordings*. Rev. [US]: ARSC, 1995. x, 60 p.

Deutsches Bibliotheksinstitut. *Regeln für die alphabetische Katalogisierung von Nichtbuchmaterialien* [RAK-AV]. Berlin : DBI. 1996

Die Deutsche Bibliothek: RAK-NBM-Präzisierungen. Frankfurt/M. 2001. ftp://ftp.ddb.de/pub/rak-nbm/NBM_Präzisierungen.pdf

Die Deutsche Bibliothek. Arbeitsstelle für Standardisierung: Empfehlungen für „Continuing integrating resources“. Frankfurt/M. 2002.

[ftp://ftp.ddb.de/pub/rak-nbm/Empfehlungen CIR.pdf](ftp://ftp.ddb.de/pub/rak-nbm/Empfehlungen_CIR.pdf)

Rules for Bibliographic Description [Russian Cataloguing Rules, RCR]. Moscow, 1986

Dirección General del Libro, Archivos y Bibliotecas. *REGLAS de Catalogación*, 1.a ed., 2.a reimpresión con correcciones Madrid: 1988

Fédération Internationale des Archives du Film (FIAF). *The FIAF Cataloguing Rules for Film Archives*. Compiled and edited by Harriet W. Harrison for the FIAF Cataloguing Commission. München: K.G. Saur, 1991. xvi, 239 p.

American Library Association. *Guidelines for Bibliographic Description of Interactive Multimedia*. The Interactive Multimedia Guidelines Review Task Force, Laura Jizba ... [et al] Chicago: American Library Association, 1994. xi, 43 p.

International Association of Sound and Audiovisual Archives. *The IASA cataloguing rules : a manual for description of sound recordings and related audiovisual media*. IASA 1998.
<http://www.iasa-web.org/icat/>

International Federation of Library Associations and Institutions. ISBD (NBM): *International Standard Bibliographic Description for Non-Book Materials*. Recommended by the ISBD Review Committee, approved by the Standing Committee of the IFLA Section on Cataloguing. Revised ed. London: IFLA, 1987. vii, 74 p.

International Federation of Library Associations and Institutions. *ISBD (ER): International Standard Bibliographic Description for Electronic Resources*. Recommended by the ISBD (CF) Review Group. Revised from the ISBD (CF) International Standard Bibliographic Description for Computer Files. München: K.G. Saur, 1997. x, 109

Functional Requirements of Bibliographic Records. Final report. München: Saur, 1998. (UBCIM Publications – N.S. Vol.19) www.ifla.org/VII/s13/frbr/frbr.pdf

International Standards Organisation. 15706, *Information and documentation – International Standard Audiovisual Number (ISAN)*. Geneva: ISO, 2002. v, 12 p

8. არქივების შექმნა და შენახვა

იმის გამო, რომ სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკებს აქვთ ძალიან განსხვავებული პასუხისმგებლობები ამ სფეროში (დაწყებული ეროვნული ბიბლიოთეკებიდან, რომლებიც ინახავენ ინფორმაციას საუკუნეების მანძილზე, დამთავრებული მცირე ბიბლიოთეკებით, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მხოლოდ მომხმარებლების მომსახურებაზე), აშკარაა, რომ ამ დოკუმენტს არქივების შექმნისა და შენახვის შესახებ მხოლოდ ზოგადი ხასიათის რეკომენდაციების გაცემა შეუძლია.

მათზე არსებული ინფორმაციის დაცვის მიზნით, ბიბლიოთეკამ უნდა უზრუნველყოს ორიგინალური დოკუმენტების ფიზიკური და ქიმიური მთლიანობა, რათა ორიგინალი დოკუმენტების კოპირების, გაციფრულების ან კონვერტაციის დროს გარანტირებული იყოს იგივე ან უკეთესი ხარისხის სტანდარტი.

აუდიოვიზუალური და მულტიმედიური ინფორმაციის მატარებლების შენახვის პირობები განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ჭუჭყი, მტვერი, დაბინძურებული ჰაერი, გადაჭარბებული ან ცვალებადი ტემპერატურა, ტენიანობა შეიძლება გახდეს მედიის დაზიანების გამომწვევი მიზეზი. CD ROM-ების და მაგნიტური ფირების სიცოცხლის ხანგრძლივობა პირდაპირ დამოკიდებულია იმ ადგილის ტემპერატურასა და ტენიანობაზე, სადაც ისინი ინახება.

მედიამატარებლები უნდა ინახებოდეს ცალკე, მისი ქიმიური ტიპის მიხედვით (მაგალითად, მაგნიტური ფირები, გრამფირფიტები 78 ბრ/წთ და ხანგრძლივ დასაკრავი ფირფიტები - LP ჩანაწერები, მაგნიტური დისკები, ოპტიკური დისკები), რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაფერისი ტემპერატურა და ტენიანობა, ასევე ხანძრის დროს ჩაქრობის გასაადვილებლად. გარდა ამისა, მაგნიტური მედიამატარებლები, როგორცაა ვიდეო და აუდიოფირები, უნდა ინახებოდეს მაგნიტური ველებისგან მოშორებით.

მედიამატარებლების ტიპის მიხედვით, მათი შესანახი კონტეინერები განსხვავდება ზომისა და ფორმის მიხედვით, რაც განსაზღვრავს მათ განთავსებას საცავში და ბეჭდური მასალების შენახვასთან ინტეგრაციის ხარისხს. ეს ასევე გავლენას ახდენს

გადაწყვეტილების მიღებაზე, განთავსდეს მომხმარებლისთვის თავისუფლად ხელმისაწვდომ, სახელდახელო თაროზე თუ დახურულ საცავში.

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ფიზიკურ მატარებლებზე ნებისმიერმა მარკირებამ არ უნდა იმოქმედოს თავად რესურსის მთლიანობაზე. მაგალითად, დაუშვებელია CD-ROM-ის ან DVD-ის მარკირება ჩვეულებრივი მელნის ან წებოს გამოყენებით. არსებობს ორი გამოსავალი, თუმცა არცერთი მათგანი ჯერ არ აღმოჩნდა ბოლომდე სანდო: დისკებისთვის სპეციალური, სწრაფად შრობადი მელნის (ფლომასტერის) გამოყენება ან ლაზერული გრავირება დისკის ცენტრთან ახლოს ცარიელ უბანზე.

ხარისხის გამოსწორებელი დანაკარგის თავიდან ასაცილებლად, პერიოდულად უნდა შემოწმდეს ორიგინალი მედიამატარებლების გაუარესების ხარისხი. დისკებისთვის ეს შემოწმება ძირითადად ვიზუალურია: მოწმდება ფიზიკურ ზემოქმედებაზე, ტენიანობაზე, ცვეთაზე და სხვა. მაგნიტური ფირისთვის აუცილებელია სიგნალის წაკითხვა დემაგნიტიზაციის და ხარისხის დაკარგვის აღმოსაჩენად. ოპტიკური დისკებისთვის წამკითხველი არ იძლევა სათანადო ინფორმაციას რაიმე დანაკარგის შესახებ, რადგან, პრობლემის შემთხვევაში, დაკვრა გარკვეულ დონეზე ჩერდება. ცვეთის ხარისხი უნდა გამოვლინდეს სპეციალური ანალიზატორის საშუალებით.

ნებისმიერი სახის აუდიოვიზუალური და მულტიმედიური მასალის შენახვის პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს მედიის რეპროდუცირებისთვის საჭირო სამუშაო აღჭურვილობას.

შენახვასთან დაკავშირებით ნებისმიერ ბიბლიოთეკას შეუძლია მოიძიოს რჩევა აუდიოვიზუალური არქივისაგან ან ისეთი ორგანიზაციებისგან, როგორცაა, მაგალითად, IASA. IFLA თანამშრომლობს უამრავ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, როგორცაა IASA, FIAT, FIAF, ICA, UNESCO აუდიოვიზუალური არქივების ასოციაციების საკოორდინაციო საბჭოს მეშვეობით. აუდიოვიზუალური და მულტიმედიის სექცია წარმოადგენს IFLA-ს CCAAA-ში, IFLA-ს სათაო ოფისთან ერთად.

ამ ძალიან რთულ სფეროში ბიბლიოთეკებს შორის თანამშრომლობის აუცილებლობა აშკარაა და ის უნდა წახალისდეს. ამ მიმართულებით პრობლემების გადასაჭრელად ეროვნული სტრატეგიებია საჭირო.

9. დიგიტალიზაცია და დაცვა

ბიბლიოთეკები, რომლებიც ემსახურებიან აუდიოვიზუალური და მულტიმედიური მასალების დაცვას, უნდა იცნობდნენ ამ სფეროში შემუშავებულ სტანდარტებს და უნდა შექმნან თავიანთი მოდელი იმ ორგანიზაციების მიხედვით, რომლებსაც აქვთ დარგში მუშაობის კარგი პრაქტიკა და ხანგრძლივი გამოცდილება.

ანალოგური ფორმატის უნიკალური დოკუმენტების გრძელვადიანი შენახვისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ხშირად ასოცირდება მათი იმავე ან სხვა მედიამატარებელზე კოპირების საჭიროებასთან. ასეთი კოპირების დროს

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები ცალკე განხილვას მოითხოვს.

დღესდღეობით, კონსერვაციის მიზნით კოპირების ყველაზე სასურველი მეთოდი დიגיტალიზაციაა. დიგიტალიზაციის მაღალი დანახარჯების გასამართლებლად მნიშვნელოვანია მომხმარებლებისთვის მიღებული სარგებელი, მაგალითად, მასალებთან ხელმისაწვდომობის გამარტივება.

არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც სპეციალიზებულნი არიან ვიდეო და აუდიოლოკუმენტების გაციფრულებით. გაციფრულებამდე დარწმუნდით, დოკუმენტი ადრე ხომ არ იყო გაციფრულებული და რომ ბიბლიოთეკამ ან ორგანიზაციამ იცის საავტორო უფლებების შესაძლო შეზღუდვების შესახებ. ასეთი გამოკითხვები ხშირად ძალიან რთულია და დაბრკოლებაა პროგრესისთვის, მაგრამ აბსოლუტურად აუცილებელი. შესაძლებელია, ორგანიზაციებისთვის სასარგებლო აღმოჩნდეს თანამშრომლობა ერთობლივი დიგიტალიზირების პროექტებში, როგორც ხარჯების შესამცირებლად, ასევე იმის უზრუნველსაყოფად, რომ თითოეული დოკუმენტი გაციფრულებული იქნება მხოლოდ ერთხელ.

დოკუმენტების ანალოგურიდან ციფრულ ფორმატში გადაყვანა შეიძლება რთული იყოს და ზოგჯერ გამოიწვიოს ინფორმაციის დაკარგვა. შესაძლოა, მომავალში ამ ტექნოლოგიების გაუმჯობესებამ ორიგინალი მატარებლის მახასიათებლების რეპროდუცირების საშუალება მოგვცეს.

საარქივო გადაწერა ძველიდან ახალ ფორმატში უნდა მოხდეს ყოველგვარი ცვლილებისა და გაუმჯობესების გარეშე. თუმცა, პრაქტიკული გამოყენებისთვის, რათა უკეთ მოისმინოს ან ნახოს აუდიტორიამ, მისაღებია ასლების გაუმჯობესებული ხარისხით მიწოდება. ორივე შემთხვევაში, ყველა გამოყენებული პარამეტრი და პროცედურა უნდა იყოს დოკუმენტირებული. მიზანშეწონილია, დოკუმენტში შეტანილი იყოს მეტამონაცემები, რომელიც შეიცავს ყველა ტექნიკურ დეტალს: ინფორმაციას მონაცემთა შეკუმშვის შესახებ, ფაილების ზომას, პიქსელს, ფორმატს და ა.შ

ციფრული და გაციფრულებული დოკუმენტების დაცვისთვის არსებობს მოწყობილობების, ოპერაციული სისტემების, მატარებლების და პროგრამების სტანდარტების დიდი რაოდენობა. ზოგადი განმარტებები მოიცავს შემდეგს:

„კონვერტაცია“ (conversion) არის დოკუმენტის ანალოგურიდან ციფრულ ფორმატში გადაყვანა. მაგალითად, ტექსტური ფაილის შექმნა დაბეჭდილი დოკუმენტის სკანირებით, რომელიც თავდაპირველად ქმნის გრაფიკულ ფაილს, შემდეგ კი მისი ამოცნობა ხდება ტექსტის ამომცნობი პროგრამის (OCR - optical character recognition) მიერ.

„განახლება“ (refreshing) არის დოკუმენტის კოპირება მსგავსი ტიპის მატარებელზე, რათა თავიდან იქნას აცილებული დოკუმენტის დაკარგვა ორიგინალი მედიის დაზიანების გამო. დოკუმენტი შეიძლება იყოს ანალოგური ან ციფრული.

„მიგრაცია“ (migration) მიზნად ისახავს ციფრული ფაილის გაუმჯობესებას, მის შესაქმნელად გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის უახლეს ვერსიაში შენახვით

ან სხვა პროგრამის დახმარებით, რომელიც უფრო თანამედროვეა ან უკეთ შეესაბამება ღია სტანდარტებს.

„ემულაცია“ (emulation) არის პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, რომელსაც შეუძლია მოახდინოს მოძველებული ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის სიმულაცია, რათა მოხდეს ციფრული დოკუმენტების რეპროდუცირება ძველ ფორმატებში, ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის ძველი ვერსიების გამოყენების იმიტაციით.

დეტალური დოკუმენტი „დიგიტალიზაციის პროექტების გზამკვლევი“ გამოქვეყნებულია IFLA-ს მიერ.⁽⁶⁾

10. ინტერნეტი

ინტერნეტში გამოქვეყნებული მულტიმედიური კოლექციების მზარდი რაოდენობა ბიბლიოთეკის მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სრულად და სწრაფად. დოკუმენტები შეიძლება ვრცელდებოდეს უფასოდ ან ფასიანი იყოს. ზოგიერთი ელექტრონული პუბლიკაცია არ არის ფიზიკურ მატარებლებზე და მათზე წვდომა მოითხოვს მონაცემთა წინასწარ შენახვას მყარ დისკებზე, ფირებზე, დისკებზე ან მონაცემთა შენახვის სხვა სისტემებზე, რომლებიც შეიძლება ავტომატურად იყოს გამომცემლის მიერ მიწოდებული ან ბიბლიოთეკის მიერ სპეციალური აპლიკაციის მეშვეობით შეგროვებული.

მნიშვნელოვანია დარეგისტრირდეს და აღიწეროს თითოეული დოკუმენტი ბიბლიოთეკაში მიღებისთანავე. პორტალების შესაქმნელი ახალი პროგრამული პროდუქტები (Institutional Portal Software), ციფრული კოლექციების მართვის სისტემები (Digital Asset Management Systems and Rights Management Systems) ხელმისაწვდომი ხდება ბიბლიოთეკარებისთვის ამ კოლექციებთან მუშაობისას დასახმარებლად.

კომპიუტერებს, რომლებიც გამოიყენება ბიბლიოთეკებში ინტერნეტში შესასვლელად, უნდა შეეძლოს მულტიმედიური დოკუმენტების ონლაინრეჟიმში წაკითხვა. კომპიუტერებში უნდა იყოს საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა, ჰქონდეს გრაფიკული და ხმის ბარათები, ყურსასმენები.

რესურსები და ბმულები:

ქვემოთ სანიმუშოდ მოცემულია ამ სფეროში არსებული ინფორმაციის უამრავი წყაროდან რამდენიმე:

Digital Libraries: Resources and projects (IFLA): <http://www.ifla.org/II/diglib.htm>

The Digital Library Federation (DLF): <http://www.clir.org/diglib/dlfhomepage.htm>

Directory of Digitized Collections: <http://www.unesco.org/webworld/digicol/>

Open Archives Initiative: <http://openarchives.org>

6. <http://www.ifla.org/VII/s19/pubs/digit-guide.pdf>

11. მომხმარებელთა მომსახურება

ბიბლიოთეკის მომხმარებლებმა, რომლებიც იყენებენ აუდიოვიზუალურ და მულტიმედიურ დოკუმენტებს, უნდა მიიღონ იგივე დონის მომსახურება, როგორსაც იღებენ ბეჭდური დოკუმენტებით მომსახურებისას. ყველა ბიბლიოთეკარს უნდა ესმოდეს ამ ტიპის კოლექციების სპეციფიკა, რათა მომხმარებლებს მიეცეს სანდო და საჭირო რჩევები.

უმეტეს შემთხვევაში ბიბლიოთეკებს, განსაკუთრებით კი პატარა ბიბლიოთეკებს, არ გააჩნიათ რა სპეციალური განყოფილება, აუდიოვიზუალურ და მულტიმედიურ დოკუმენტებთან მუშაობისთვის ბიბლიოთეკის შენობის მცირე ნაწილი აქვთ დათმობილი.

ზოგჯერ მთელი ფონდი შეიძლება განლაგდეს თემატურად, ფორმატის გათვალისწინების გარეშე. ასეთ შემთხვევებში უფრო ხშირად ხდება წიგნების ფილმებთან, ვიდეოფილმებთან და კასეტებთან შერევა, ვიდრე მუსიკალურ მასალებთან.

აუდიოვიზუალური და მულტიმედიური მასალები უნდა იყოს შეტანილი ბიბლიოთეკის ყველა სერვისში, როგორც გაცემისთვის, ისე საცნობარო მიზნებისთვის. გაცემით მომსახურებისას მიზანშეწონილია, გაცემის ადგილები უზრუნველყოფილი იყოს მოსასმენი და სანახავი საშუალებებით, მათ შორის კომპიუტერებით ან უფრო ტრადიციული აუდიოვიზუალური მოწყობილობებით, რათა მომხმარებლებს შეეძლოთ არჩეული მასალების წინასწარ მოსმენა ან ნახვა.

ბიბლიოთეკებში აუდიოვიზუალური მასალების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი ხმაური რაც უნდა იქნას გათვალისწინებული მომსახურების ამ ფორმის დანერგვისას.

კოლექციების სისრულის უზრუნველსაყოფად და სხვადასხვა ფორმატში ორგანიზებული კოლექციების შესაქმნელად ბიბლიოთეკები უნდა ცდილობდნენ, გამოიყენონ სტანდარტული, ყველაზე ხშირად გამოყენებული სისტემები, განსაკუთრებით გაცემის მიზნისთვის. თუ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მხოლოდ იშვიათად მოთხოვნილ ფორმატშია, ყურადღება უნდა მიექცეს სხვა მედიაში (შესაბამის ალჭურვილობასთან ერთად) მის შექმნას და საცნობარო გამოყენებისთვის შეთავაზებას, ან თუ ეს შესაძლებელია, სხვა ინსტიტუტებთან/ბიბლიოთეკებთან თანამშრომლობით ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

როგორც წესი, ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს ხელმისაწვდომი ალჭურვილობა ყველა იმ ფორმატის აუდიოვიზუალური მასალისთვის, რომელსაც ის მომხმარებელს სთავაზობს. თუ რაიმე მიზეზით შეუძლებელია ამ ალჭურვილობის შექმნა ან ექსპლუატაცია, მაშინ აუცილებელია განიხილებოდეს მიგრაციის, კონვერტაციის ან ემულაციის შესაძლებლობა, სულ მცირე, განსაკუთრებული ღირებულების დოკუმენტებისთვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უსაფრთხოების სისტემების დამონტაჟებას, როგორც აპარატურის, ისე პროგრამული უზრუნველყოფის დასაცავად. ბიუჯეტის შედგენისას მიზანშეწონილია გათვალისწინებული იყოს არა მხოლოდ ალჭურვილობის შესყიდვის, არამედ მისი დაზღვევისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები.

ხელმისაწვდომი უნდა იყოს აუდიოვიზუალური და მულტიმედიური მასალების რეგიონალურსაძიებო ინსტრუმენტები და საცნობარო მასალები. მომხმარებლებისთვის სამუშაოს გასამარტივებლად ბიბლიოთეკამ უნდა შესთავაზოს სახელმძღვანელო მითითებანი ამ კოლექციების და აღჭურვილობის გამოყენების შესახებ. მომხმარებელთა ტრენინგი ასევე შეიძლება იყოს სასარგებლო შეთავაზება.

ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტით მომსახურების პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ყველა მედიაკოლექციას, რა ფორმატშიც არ უნდა იყოს ის დაცული. ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო მომსახურება ყველა (ადგილობრივ, რეგიონალურ, ეროვნულ და საერთაშორისო) დონეზე უნდა მოიცავდეს აუდიოვიზუალური და მულტიმედიური დოკუმენტების ურთიერთგაცვლას დადგენილი წესების ფარგლებში.

რაც შეეხება აუდიოვიზუალური და მულტიმედიური მასალების ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტით გაცვლას, ზოგიერთ ქვეყანაში შესაძლებელია რეგიონალურ ან ეროვნულ საფუძველზე ფორმალური სტრუქტურების ჩამოყალიბება. ურთიერთგაცვლის დადგენილი პროცედურების არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია არაფორმალური თანამშრომლობის წახალისება.

იმის გამო, რომ აუდიოვიზუალური და მულტიმედიური დოკუმენტები უფრო მგრძობიარეა დაზიანების მიმართ, ვიდრე ბეჭდური დოკუმენტები, თავიდან უნდა იქნას აცილებული ორიგინალი ან უნიკალური დოკუმენტების ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტით გაცემა. ამ მიზნისთვის შეიძლება გაკეთდეს ორიგინალის ასლი (საავტორო უფლებების დაცვით).

12. თანამშრომლობა

სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობის დამყარება შეიძლება სასარგებლო იყოს ინფორმაციის გაზიარებისთვის და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შედეგის, კატალოგიზაციის, კლასიფიკაციის, სისტემატიზაციის, ტრენინგის, დიგიტალიზაციის, არქივების შექმნის და შენახვის საკითხები.

ორგანიზაციების აბრევიატურები:

IFLA = International Federation of Library Associations and Archives (საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაცია).

CCAAA = Coordinating Council of Audiovisual Archive Associations (აუდიოვიზუალური არქივების ასოციაციების საკოორდინაციო საბჭო).

IASA = International Association of Sound and Audiovisual Archives (ხმოვანი და აუდიოვიზუალური არქივების საერთაშორისო ასოციაცია).

ICA = International Council on Archives (არქივების საერთაშორისო საბჭო).

FIAF = International Federation of Film Archives (კინოარქივების საერთაშორისო ფედერაცია).

FIAT = International Federation of Television Archives (სატელევიზიო არქივების საერთაშორისო ფედერაცია).

NGO = Non Governmental Organizations (არასამთავრობო ორგანიზაციები).

ორგანიზაციების ვებგვერდები:

Association of Moving Image Archivists <http://www.amianet.org/>

Coordinating Council of Audiovisual Archive Associations <http://www.ccaaa.org/>

International Council on Archives <http://www.ica.org/>

International Federation of Library Associations and Archives <http://www.ifla.org/>

International Association of Sound and Audiovisual Archives <http://www.iasa-web.org/index.htm>

The International Federation of Film Archives: <http://www.fiafnet.org/>

International Federation of Television Archives: <http://www.fiatifta.org/>

UNESCO AV (Audiovisual Archives): <http://www.unesco.org/webworld/audiovis/avarch.htm>

13. საცნობარო ბმულები

ამ სახელმძღვანელოს შედგენისას გამოყენებულია შემდეგი ვებგვერდები და მასალები IFLA-ს სხვა სექციებიდან და სხვა ინსტიტუტებიდან.

Copyright and other intellectual property rights (IASA) <http://www.iasa-web.org/iasa0016.htm>

Curriculum development for the training of personnel in moving image and recorded sound archives <http://www.unesco.org/webworld/ramp/html/r9009e/r9009e00.htm>

Guidelines for public libraries (IFLA) draft 4th rev. ed 2000 <http://www.ifla.org/VII/s8/proj/gpl.htm>

Guidelines for Media Resources in Academic Libraries (ACRL) <http://www.ala.org/acrl/guides/medresg.html>

The philosophy of audiovisual archiving. http://www.unesco.org/webworld/highlights/av_archives_120799.html

Resource List for Libraries/Media Centers (National Clearinghouse for Educational Facilities), Washington, D.C. <http://www.edfacilities.org/rl/libraries.cfm>

IASA TC-03 – The Safeguarding of the Audio Heritage <http://www.iasa-web.org/iasa0013.htm>

14. აუდიოვიზუალური მატარებლების ჩამონათვალი:

აუდიო, ფოტო, ფილმი და მულტიმედიური დოკუმენტები შეიძლება ინახებოდეს ანალოგურ და ციფრულ ფორმატში და ჩაწერილი იყოს სხვადასხვა მედიამატარებლებზე. ქვემოთ მოყვანილი სია არ არის ამომწურავი და განახლდება ტექნოლოგიების განვითარებისას.

მექანიკური მატარებლები:

- ჩაწერადი ლილვაკები (1886 – 1950 წ.წ.): ანალოგური ფორმატი ხმოვანი ჩანაწერებისთვის;
- წაკითხვადი ლილვაკები (1902 - 1929): ანალოგური ფორმატი ხმოვანი ჩანაწერებისთვის;
- დისკი (გრამფირფიტები) უხეშდარიანი ბილიკით (1887 - 1960 წწ.): ანალოგური ფორმატი ხმოვანი ჩანაწერებისთვის;
- ჩაწერადი დისკები (გრამფირფიტები) უხეში და მიკროდარიანი ბილიკით ან „მყისიერი დისკები“ (1930 - ...): ანალოგური ფორმატი ხმოვანი ჩანაწერებისთვის;
- მიკროდარიანი დისკი (გრამფირფიტები) ან „ვინილი“ (1948 - ...): ანალოგური ფორმატი ხმოვანი ჩანაწერებისთვის;

მატარებლები მაგნიტურ ფირზე:

- აცეტილცელულოზის ფირები ხმოვანი ჩანაწერისთვის (1935 -1960): ანალოგური ფორმატი ხმოვანი ჩანაწერებისთვის (Fe₂O₃ მაგნიტური ფენა)
- PVC-ზე დაფუძნებული ფირები ხმოვანი ჩანაწერისთვის (1944 - 1960): ანალოგური ფორმატი ხმოვანი ჩანაწერებისთვის (Fe₂O₃ მაგნიტური ფენა)
- პოლიესთერის აუდიო ფირები, IEC I კომპაქტური კასეტები, ორ დუიმიანი ვიდეო ფირები (1959 -): ანალოგური ფორმატი ხმოვანი და ვიდეო ჩანაწერებისთვის (Fe₂O₃ მაგნიტური ფენა);
- კომპაქტური კასეტები IEC II DCC, ერთდუიმიანი ვიდეოფირები, VCR, VHS, U-matic, Betamax, V2000, Betacam, D1 (1969 - ...): ანალოგური/ციფრული ფორმატი ხმოვანი და ვიდეოჩანაწერებისთვის (CrO₂ მაგნიტური ფენა);
- კომპაქტური კასეტები IEC IV, R-DAT, Video8/Hi8, Betacam SP, MII, ყველა ციფრული ვიდეოფორმატი, გარდა D (1979 - ...): ანალოგური/ციფრული ფორმატი აუდიო და ვიდეოჩანაწერებისთვის (მეტალის მაგნიტური ფენა).

მატარებლები მაგნიტურ დისკზე:

- Timex მაგნიტურ დისკზე ჩამწერი (1954);
- დრეკადი მაგნიტური დისკი, (Floppy) დისკი: 3 დუიმი, 5,25 დუიმი, 8,0 დუიმი (მოძველებული), 3.5 დუიმი (თანამედროვე): ციფრულ მონაცემთა ფორმატი (ლითონის ოქსიდის მაგნიტური ფენა) ;
- ხისტი დისკი: ჩვეულებრივ ინტეგრირებულია კომპიუტერულ აპარატურასთან, ზოგჯერ ორგანიზებულია (RAID) მასივებში.

ფოტოქიმიური მატარებლები:

ფილმის ფირების ფორმატები:

- 35 მმ (1894 - ...; სტანდარტული ფორმატი 1909 წლიდან);
- არასტანდარტული ფორმატები:

28 მმ (1912 - ...)

16 მმ (1923 - ...)

9,5 მმ (1922 - ...)

სუპერ 8 (1965 - ...)

ნიტრატზე დაფუძნებული (1895 წლიდან დაახლოებით 1952 წლამდე)

აცეტატზე დაფუძნებული ან "უსაფრთხო ფირები": 1920-იანი წლები...

პოლიესთერზე დაფუძნებული: 1970-იანი წლები...

ოპტიკური მატარებლები:

LV Laser Vision (1982 - ...) ანალოგური ფორმატი ვიდეო/სტატიკური

სურათები (ვიდეო და ფოტოგამოსახულებისთვის);

CD წაკითხვადი (1981 - ...): ციფრული ფორმატი (გარდა CD-V: ანალოგური ვიდეო) ყველა სახის მულტიმედიური ინფორმაციისთვის;

CD ერთხელ ჩაწერადი (1992 - ...): ციფრული ფორმატი ყველა სახის მულტიმედიური ინფორმაციისთვის;

MD მინი დისკი წაკითხვადი (1992 - ...): ხმის ციფრული ფორმატი;

MD მინი დისკი ერთხელ ჩაწერადი (1992 - ...): ხმის ციფრული ფორმატი;

CD მრავალჯერ ჩაწერადი (1996 - ...): ციფრული ფორმატი ყველა სახის მულტიმედიური ინფორმაციისთვის;

DVD წაკითხვადი (1997 - ...): ციფრული ფორმატი ყველა სახის მულტიმედია ინფორმაციისთვის;

DVD ერთხელ ჩაწერადი (1997 - ...): ციფრული ფორმატი ყველა სახის მულტიმედია ინფორმაციისთვის;

DVD მრავალჯერ ჩაწერადი (1998 - ...): ციფრული ფორმატი ყველა სახის მულტიმედია ინფორმაციისთვის.